სსიპ – თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორის ბრძანება

N2

2021 წლის 11 ნოემბერი

ქართული დიასპორის მოსწავლეებისთვის მეცნიერების პოპულარიზაციის მიმართულებით გამოცხადებული კონკურსის ფარგლებში საკონკურსო კომისიის დამტკიცების თაობაზე

1. „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ მეცნიერების პოპულარიზაციის მიმართულებით ქართული დიასპორის მოსწავლეებისთვის კონკურსის დებულების დამტკიცების თაობაზე“ სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2021 წლის 11 ნოემბრის N30/04 ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული „მეცნიერების პოპულარიზაციის მიმართულებით ქართული დიასპორის მოსწავლეებისთვის კონკურსის დებულების“ (შემდგომში – დებულების) მეორე მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად შეიქმნას საკონკურსო კომისია (შემდგომში – კომისია) შემდეგი შემადგენლობით:

   ა) თეა ბურჭულაძე (თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი);
   ბ) მაკა ლაბარტყავა (თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი);
   გ) თეა ტეტელოშვილი (თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი);
   დ) ლელა გიგლემიანი (თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი).

2. კომისია იქმნება ვადით: 2021 წლის 11 ნოემბრიდან 10 დეკემბრის ჩათვლით და იგი იმუშავებს ამ კონკურსის ფარგლებში.
3. კომისია იხელმძღვანელებს „მეცნიერების პოპულარიზაციის მიმართულებით ქართული დიასპორის მოსწავლეებისთვის კონკურსის დებულების“ მეექვსე მუხლით განსაზღვრული ნაშრომების შეფასების კრიტერიუმებით.
4. კომისიის წევრებს განესაზღვრებათ ანაზღაურება (ერთჯერადად) მეცნიერების პოპულარიზაციის მიმართულებით ქართული დიასპორის მოსწავლეებისთვის კონკურსის (კონკურსი „ანიდან ჰოემდე“) ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული ოდენობით.

თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი

/ნანა მაჭავარიანი /